ქვეპროგრამის დასახელება: „ვორლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება

რა არის ქვეპროგრამის არსი?

ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სოციალურად დაუცველი მშობლებისა და მათი ოჯახების გაძლიერებისკენ მიმართული დამხმარე სერვისების განვითარება.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

სოციალურად დაუცველი ოჯახების 6–დან 30 თვემდე ასაკის ბავშვები.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

დღის განმავლობაში ბავშვების მშობლებისთვის ქ. თბილისში გლდანის რაიონში მდებარე 107–ე ბაღის ტერიტორიაზე არსებული დღის ცენტრის მომსახურების შეთავაზება. სოციალურად დაუცველი მშობლებისთვის საინფორმაციო–საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მიზნად ისახავს მათი ცნობიერების ამაღლებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით.

როგორ უნდა მიიღოს პირმა მომსახურება ?

ბენეფიციარების დღის ცენტრში ჩარიცხვა „სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ მიერ ხორციელდება.